ეთიკის კომისიის
**რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

**შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 05.12.2014
**შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი:** 015/14
**შეკითხვა:**
ადვოკატმა გააფორმა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ კონკრეტულ პიროვნებასთან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ პირისა და მისი შვილის უფლებების დაცვას როგორც სამოქალაქო, ასევე, სისხლის სამართლის კუთხით. 2014 წლის 30 აგვისტოს, კლიენტებზე განხორციელდა ცემა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ერთ-ერთი კლიენტის ყოფილი მეუღლის ოჯახის წევრების მიერ. აღნიშნული ფაქტის თაობაზე ადვოკატის კლიენტებმა აცნობეს პოლიციას და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ცემის ფაქტზე.
მოგვიანებით, 2014 წლის 27 ოქტომბერს, ერთ-ერთ კლიენტს-ხელშეკრულების მხარის შვილს, რომელიც თავად იყო დაზარალებული, ზესტაფონის რაიონულმა პროკურორმა წაუყენა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და 151-ე მუხლით. შესაბამისად, ადვოკატს წარდგენილი აქვს ორდერი და იცავს მის უფლებებს. ასევე, აღნიშნული პირის უფლებებს ადვოკატი იცავს სამოქალაქო საქმეზე, სადაც ეს კლიენტი წარმოადგენს მოსარჩელეს მისთვის არასრულწლოვანი შვილის ნახვის დღეების განსაზღვრასთან დაკავშირებით.
სამოქალაქო საქმის წარმოებისას, პროცესზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი აქტიურად უწევდა ამ პიროვნებას დისკრიმინაციას, რაზედაც მიიღო კიდეც არაერთხელ შენიშვნა როგორც მოსამართლისაგან, ასევე თავად მხარისაგან. ერთ-ერთი პროცესის დასრულებისას, ზესტაფონის სასამართლოს წინ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ მოხდა აღნიშნული პიროვნების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ პიროვნების ყოფილი ცოლის ოჯახის წევრებმაც. ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა, აღნიშნული პიროვნების-დაზარალებულის ადვოკატს გაუგზავნა უწყება მოწმის სახით დაკითხვის მიზნით, სადაც განიმარტა, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება იძულების ღონისძიება.
ადვოკატი, როგორც აღინიშნა, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით იცავს დაზარალებულის ინტერესებს ამ დავასთან დაკავშირებით ნებისმიერ სისხლისა და სამოქალაქო საქმეზე. ყველაფერი ამ დავასთან დაკავშირებით ადვოკატისათვის ცნობილია საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესიდან. ადვოკატმა სატელეფონო საუბარში განუმარტა

გამომძიებელს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის ა. და ბ. ქვეპუნქტების შესაბამისად იგი არ არის ვალდებული იყოს მოწმე ამ საქმეში, ვინაიდან ამჟამადაც ახორციელებს პროცესის მონაწილეების დაცვას და აღნიშნული საქმის დეტალები და არსი მისთვის ცნობილია საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე, რომელთა კონფიდენციალობის ვალდებულებას ადვოკატს აკისრებს როგორც საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ", ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. ეს შეიძლება გახდეს მომავალში ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. ამის შესახებ უწყების გამომგზავნ მხარეს ეცნობა წერილობითაც.
როგორ უნდა განახორციელოს აღნიშნულ შემთხვევაში მისი უფლებების რეალიზაცია ადვოკატმა ისე, რომ არ დაარღვიოს საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ" და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი?

**ანალიზი:**

**„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი:**
„დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი."

**„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:**
1. ადვოკატი ვალდებულია:
ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;
ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.
2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

**ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები:**
1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.
2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა." და „ბ." ქვეპუნქტები:**
„მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;“

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 60-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი:** „ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი.“

ადვოკატი თავისუფალი პროფესიის მქონე პირია, შესაბამისად, იგი საქმიანობის განხორციელებისას თავისუფალია და მისი საქმიანობის განხორციელების შეზღუდვა დაუშვებელია. თუმცა, ადვოკატი, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, უნდა დაემორჩილოს კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს პროფესიული ფუნქციები იმ საქმეზე, რომელზეც განახორციელა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, მათ შორის მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და სხვ. აღნიშნული ნორმის რეგულაცია ვრცელდება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ადვოკატი აღნიშნულ საქმიანობას განახორციელებს კლიენტთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ.

განსახილველ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მოწმის სახით მისცემს ჩვენებას, იგი ავტომატურად მოექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის რეგულაციის სფეროში, რომელიც ადვოკატს ავალდებულებს არ განახორციელოს პროფესიული საქმიანობა იმავე საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატმა, მსგავს შემთხვევაში, უნდა შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა.

შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატი, ცემის ფაქტზე დაზარალებულის ინტერესებს წარმოადგენს ნებისმიერ სისხლისა თუ სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს სურს, რომ ცემის ფაქტზე მიმდინარე საქმეზე მისი წარმომადგენლობა განახორციელოს იგივე ადვოკატმა, რაც დასაშვებია, ვინაიდან, მიუხედავად დაზარალებულის შეზღუდული საპროცესო უფლებებისა, მას შეუძლია გამოკითხვის ეტაპიდანვე სარგებლობდეს ადვოკატის მომსახურებით, ადვოკატს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ვინაიდან, ჩვენების მიცემის შემთხვევაში დადგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული ადვოკატის აცილების საფუძველი, ვინაიდან „ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, **მოწმე** ან ექსპერტი.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ადვოკატი არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის

შესრულებასთან დაკავშირებით.“ მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადვოკატი იცავდა კონკრეტული პიროვნების ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე, სადაც ეს პირი წარმოადგენდა მოსარჩელეს მისთვის არასრულწლოვანი შვილის ნახვის დღეების განსაზღვრასთან დაკავშირებით, ხოლო ცემის ფაქტი, რომელზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, სამართლებრივად არ იყო განქორწინების საქმის ნაწილი-აღიძრა ცალკე საქმე. შესაბამისად, ჩვენების მიცემაზე უარის საფუძვლად აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება. ასევე, ამ შემთხვევაში, არ გამოიყენება 50-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რადგან აღნიშნული ქვეპუნქტიც ეხება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას იმავე საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ადვოკატი იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე.

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №094/11, დაადგინა: „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მოსთხოვენ ჩვენების მიცემას იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც ის წარმოადგენს კონკრეტულ პიროვნებას-ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას, მას უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. მოცემულ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მოსთხოვენ ჩვენების მიცემას იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც როგორც შეკითხვიდან ჩანს, ადვოკატი იცავს კლიენტის ინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე და 151-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებასთან დაკავშირებით, მას უფლება ექნება უარი თქვას ჩვენების მიცემაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, რადგან „მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.“

**დასკვნა:**

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს სთხოვენ ჩვენების მიცემას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სადაც დაზარალებული არის მისი კლიენტი სხვა სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე, მას შეუძლია უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე იმ საფუძვლით, რომ სამომავლოდ ეს ფაქტი გახდება მისი აცილების საფუძველი, თუ დაზარალებულს ექნება სურვილი მისი ინტერესები დაიცვას სწორედ ამ ადვოკატმა. შეკითხვაში მითითებული გარემოებების

მიხედვით, დაზარალებულს აღნიშნულის სურვილი ექნება, ვინაიდან ადვოკატი მის ინტერესებს წარმოადგენს ნებისმიერ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის დავებზე.

**რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.**

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/